

# ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი

-----, 2018წ.

ერთის მხრივ, შპს „-----“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) და მეორეს მხრივ, შპს „ავერსის კლინიკა“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის სახით (შემდგომში „მყიდველი“), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით მყიდველი მიმწოდებლისგან, ყიდულობს ----- აპარატს (შემდგომში „აპარატ(ებ)ი“).
- 1.2. აპარატ(ებ)ის ტექნიკური დახასიათება, კონფიგურაცია და რაოდენობა მოცემულია დანართში №1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.
- 1.3. მიწოდება უნდა მოხდეს შემდეგ მისამართზე: -----

## 2. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის პირობა

- 2.1. აპარატ(ებ)ის საერთო ღირებულება შეადგენს, -----, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.
- 2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აპარატ(ებ)ისთვის ანგარიშსწორება მხარეთა შორის წარმოებს 2 ეტაპად:
  - 2.2.1. 1 ეტაპი: აპარატ(ებ)ი საერთო ღირებულების -----%, -----, მყიდველი იხდის ავანსის სახით. ავანსის გადარიცხვა მოხდება, მიმწოდებლის მიერ მყიდველისთვის მისაღები ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან ავანსად მოთხოვნილ თანხაზე, წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის საფუძველზე, საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან ----- სამუშაო დღის ვადაში.
  - 2.2.2. 2 ეტაპი: აპარატ(ებ)ი საერთო ღირებულების -----%, -----, მყიდველი იხდის აპარატ(ებ)ის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან ----- კალენდარული დღის ვადაში.
- 2.3. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

## 3. სახელშეკრულებო ვადა

- 3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და საბოლოო შესრულებამდე.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 4.1. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი:
  - 4.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია, მყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი, განბაჟებული, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო აპარატ(ებ)ი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობითა და პირობებით, მყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე.
  - 4.1.2. მიმწოდებელი ვალდებულია, მყიდველს მიაწოდოს აპარატ(ებ)ი არაუგვიანეს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან, არაუგვიანეს -----.
  - 4.1.3. აპარატ(ებ)ის მიწოდებამდე დაკარგვის ან დაზიანების რისკს ღებულობს მიმწოდებელი, ხოლო მიწოდების შემდეგ აპარატ(ებ)ის და შენახვის პირობებზე პასუხისმგებელია მყიდველი.
  - 4.1.4. მიმწოდებელი ვალდებულია, აპარატ(ებ)ის მყიდველისათვის მიწოდებისას გამოწეროს შესაბამისი სასაქონლო ზედნადები. აპარატ(ებ)ის გადაცემის მომენტად ითვლება მყიდველისთვის აპარატ(ებ)ის მიწოდების თარიღი, რაც დასტურდება მხარეთა შორის აპარატ(ებ)ის მიწოდებაზე (გადაცემაზე) სასაქონლო ზედნადების გამოწერითა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით, რის შემდეგაც მყიდველზე გადადის საკუთრების უფლება აპარატ(ებ)ზე.
  - 4.1.5. მიმწოდებელი ვალდებულია, აპარატ(ებ)ი მიწოდების დროს რაოდენობრივი ან ხარისხობრივი ნაკლის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით გამოცვალოს აპარატ(ებ)ი.
  - 4.1.6. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული აპარატ(ებ)ი აღმოჩნდა ნივთობრივად ან/და უფლებრივად ან/და რაოდენობრივად ნაკლიანი/დაზიანებული, მიმწოდებელი ვალდებულია, არსებული ნაკლი გამოასწოროს ----- სამუშაო დღის განმავლობაში ან იმავე ვადაში შეცვალოს წუნდებული აპარატ(ებ)ი ან მისი/მათი ნაწილი ახალი, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხისა და ტექნიკური მახასიათებლების მქონე აპარატ(ებ)ით/აპარატ(ებ)ის ნაწილით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია ----- საბანკო დღის ვადაში უკან დაუბრუნოს მყიდველს

ნაკლიანი/დაზიანებული აპარატ(ებ)ის ღირებულება, ამასთან, გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების სრული ღირებულების 20%-ის ოდენობით.

4.1.7. მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს აპარატ(ებ)ის შესაბამისი სერვისი (მონტაჟი, ინსტალაცია, შემდგომი შემოწმება/ტესტირება, გაშვება) აპარატ(ებ)ის მიწოდებიდან ----- კალენდარული დღის ვადაში.

4.1.8. მიმწოდებელი ვალდებულია, აპარატ(ებ)ის მიწოდებამდე, მყიდველის მოთხოვის შესაბამისად, მყიდველს მიაწოდოს აპარატ(ებ)ის მონტაჟის/ინსტალაციის დეტალური ტექნიკური პირობები.

4.1.9. მიმწოდებელი ვალდებულია, აპარატ(ებ)ის გადაცემასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია, გადასცეს მყიდველს აღნიშნული აპარატ(ებ)ის შესაბამისი დოკუმენტაცია (მათ შორის: ხარისხის სერტიფიკატი, აპარატ(ებ)ის მანუალი და სხვა).

4.2. მყიდველის უფლება-მოვალეობანი:

4.2.1. მყიდველი ვალდებულია, გადაუხადოს მიმწოდებელს თანხა იმ ოდენობითა და ვადებში, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

4.2.2. მყიდველი უფლებამოსილია, მოითხოვოს მიმწოდებლისგან დაკისრებული ვალდებულებების შესრულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში.

4.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი უფლებამოსილია, უშედეგო გაფრთხილებიდან ---- კალენდარულ დღეში, ცალმხრივად გავიდეს ხელშეკრულებიდან, მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების 2.2.1 პუნქტით გათვალისწინებული, მის მიერ ავანსად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება და პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით. ამასთან, მყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს მოსთხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარე მოვალეა, აანაზღაუროს ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანი.

5.3. მიმწოდებლის მიერ აპარატ(ებ)ის მიწოდებისა და შესაბამისი სერვისის ვადის დარღვევის შემთხვევაში (პუნქტები 4.1.2 და 4.1.7.) მყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს და ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, გადაიხადოს ჯარიმა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი თანხის 0.5%-ის ოდენობით.

5.4. მყიდველის მიერ აპარატ(ებ)ის ღირებულების გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში (პუნქტი 2.2), მიმწოდებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს და ასეთ შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია, გადაიხადოს ჯარიმა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.

5.5. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (7.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში) მყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს და ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი თანხის 0.5%-ის ოდენობით. ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს მყიდველისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი იმ ოდენობით რა ოდენობითაც დაუჯდება მყიდველს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლოვანების და დეფექტის აღმოფხვრა.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ/ვერ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას და მყიდველს არ/ვერ მიაწოდებს ხელშეკრულებაში განსაზღვრულ აპარატ(ებ)ს ან/და მიაწოდებს 4.1.1. და 4.1.2 პუნქტ(ებ)ით გათვალისწინებული მოთხოვნათა დარღვევით ან/და 4.1.3. პუნქტის შესრულების ვადებს გადააცილებს 2 (ორი) კვირით, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია, სრულად აანაზღაუროს მყიდველისათვის მიყენებული ზიანი.

5.7. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი მყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე რაიმე ფორმით შესთავაზებს მყიდველის თანამშრომელს საჩუქარს/წახალისებას, რათა თანამშრომელმა მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აპარატ(ებ)ის რეალიზაციის გაზრდა, წინააღმდეგაა ან ამ აპარატ(ებ)ის შესყიდვა, მყიდველი უფლებას იტოვებს მოითხოვოს და ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა ხელშეკრულების სრული ღირებულების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარი.

## 6. ფორს-მაჟორული გარემოებანი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუკი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ომი, ეპიდემია და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობებს აღემატებოდა და რომელმაც პირდაპირი გავლენა იქონია ვალდებულების შეუსრულებლობაზე. აღნიშნული გარემოების აღმოფხვრისთანავე, მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის გარემოებები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი ფაქტის დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველ გარემოებათა არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

## 7. საგარანტიო პირობები

7.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებულ აპარატ(ებ)ზე ვრცელდება გარანტია, რომლის ათვლაც დაიწყება 4.1.7. პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს ----- კალენდარული წლის განმავლობაში. თუ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში აპარატს აღმოაჩნდება დეფექტები/ნაკლოვანება/ხარვეზი (თუ ეს დეფექტი არ არის გამოწვეული აპარატის არასწორი ექსპლუატაციით), მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ----- ვადაში აღმოფხვრას აღნიშნული დეფექტი/ნაკლოვანება/ხარვეზი, ან იმავე ვადაში შეცვალოს წუნდებული აპარატი ან მისი ნაწილი ახლით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპეციფიკაციის აპარატ(ებ)ით.

7.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ 4.1.7. პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში აპარატის მუშაობის შეჩერების ვადა ე.წ. „downtime“ არ აღემატება 25 კალენდარულ დღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, გადაიხადოს ჯარიმა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ბოლო სამი თვის მანძილზე აპარატის მუშაობით მყიდველის მიერ მიღებული საშუალო დღიური შემოსავლის ოდენობით, იმ შემთხვევაში თუ სამ თვეზე ნაკლები ვადა იქნება გასული, მაშინ ბოლო ერთი თვის მანძილზე აპარატის მუშაობით მყიდველის მიერ მიღებული საშუალო დღიური შემოსავლის ოდენობით.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, მყიდველს აცნობოს აპარატ(ებ)ის ნებისმიერი დეტალის, ნაწილის ან პროგრამული უზრუნველყოფის გეგმიურად შეცვლის თაობაზე და განუსაზღვროს პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოხდება გეგმიური შეცვლა, რათა მყიდველმა დაგეგმოს საკუთარი პროცესები. ამ პუნქტით გათვალისწინებული დროის პერიოდი არ შედის ე.წ. „downtime“-ში.

## 8. განსაკუთრებული პირობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მიმწოდებელი ადასტურებს, რომ ის არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში, ოფშორში რეგისტრირებულ პირს, საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ პირს (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა), მიკრო ბიზნესის სტატუსის მატარებელ პირს, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირს ან/და სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე პირს. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია უტყუარია. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში აღმოჩნდება, რომ შემსრულებელი ზემოაღნიშნული რომელიმე სტატუსის მქონე პირია ან გახდება, რის გამოც მყიდველს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი (მათ შორის საგადასახადო ჯარიმის/სანქციის დაკისრება, გადახდილი თანხის ხარჯებიდან ამოღება და ა.შ.), მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს აღნიშნული ზიანი/ზარალი სრული მოცულობით მყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

## 9. საბანკო გარანტია

9.1. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 1 (ერთი) თვის ვადით უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აპარატ(ებ)ის მიწოდების ვადას.

9.2. გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი, კერძოდ: გარანტიით გათვალისწინებული თანხა მყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.

## 10. დამატებითი პირობები

- 10.1. ხელშეკრულებაში ყველა ცვლილება ან/და დამატება ხორციელდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების შედეგად, რაზეც ხელს უნდა აწერდნენ მხარეთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ძალაშია მხარეთა ხელმოწერისთანავე და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 10.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლება-მოვალეობანი გადასცეს მესამე პირს.
- 10.3. ყველა დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან წყდება მოლაპარაკების გზით.
- 10.4. მოლაპარაკების მიუღწევლობისას დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 10.5. ხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.
- 10.6. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.
- 10.7. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ მას ჩაბარდა ხელშეკრულება მისი დანართითურთ.
- 10.8 მიმწოდებელი აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.
- 10.9. მხარეები თანხმდებიან, რომ მყიდველის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიმწოდებლის მიერ მისი გასაჩივრების მიუხედავად, დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე-1<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად.
- 10.10. ყველა იმ შემთხვევაში, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 10.11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. მხარეებისათვის თითო ეგზემპლარი.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები: